



ქართული სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება.

F-128
1916

სამეურნეო უწყნალი

გოგსაპალი

წელიწადი
მერვე.

წელიწადი
მერვე.

№ 2.

ნოემბერი

1916 წ.

შინაარსი:

* * * მოწინავე წერილი	3
მ. ტ—ძე. ერთი თვალის გადავლებით	4
ახალი ამბები	7
საზღვარგარეთ	8
რუსეთში	9
კორესპონდენციები	11
კითხვა-პასუხი	14

უფრნალი წელიწადში ღირს 2 მან. — მისამართი: *თიფლისი, ბარათინეკაი, 5.*

თფილისი 1916 წ.
სტამბა „ქართლი“ პუშკინის ქუჩა.

სამეურნეო და საკოოპერაციო ჟურნალი

≡ „მოსავალი“ ≡

იგივეა რა კვირაში ერთხელ

წელიწადში ჟურნალი ღირს 2 მანეთი.
ცალკე ნომერი 5 კაპეიკი.

დასაბუქდათ მიღებული წერილები შეიძლება რედაქციამ შეასწოროს და შეამოკლოს. ხელმოუწერილი წერილები არ დაიბეჭდება. წერილები და კორესპონდენციები, რომელნიც არ დაიბეჭდებიან, არც შეინახებიან დასაბრუნებლად.

ფასი განცხადების დასაბუქდი მორიგებით.

რედაქციის ადრესი წერილებისათვის და ტელეგრამებისათვის: Тифлисъ,
„Мосавალი“, Барятинская, 5.
რედაქტორი გ. ი. რცხილაძე.

მოსკოვის სახალხო ბანკის გამგეობა

აცხადებს, რომ თანხმით აქციონერთა მესუთუ საზოგადო კრების დადგენილებას, პირველ მარტს 1917 წელს,

გამოვა მისამე გამოცემა სახალხო ბანკის გამოცემისა

8,000 ცალი, შემდეგ პირობებში: 1) მესამე გამოცემის აქცია ეღირება გამოცემის ღირს 255 მან. 2) უპირატესობა აქციის შესაძენად ეძლევა წინათ გამოცემულ აქციების პატრონთ, ერთს ძველ აქციაზე ერთი ახლის შეძენის, ხოლო იმ პირობით, რომ იგივე ახალ აქციის შესაძენათ განცხადებასთან ერთათ უნდა წარმადგინონ არა უგვიანეს 1 იანვრის 1917 წ., 3) იმ აქციების შეძენის შესახებ, რომელიც 1 იანვ. 1917 წ.-მდე არ იქნება პირველ ორ გამოცემის აქციების პატრონთა შორის განაწილებული, განცხადების და იგივეს წარმადგენს შეიძლება არა უგვიანეს 1 მარტის 1917 წ. 4) აქციის შესაძენათ შემოტანილ იგივეზე აქციის გამოცემამდის (8 მარტი 1917 წ.), ბანკი იძლევა სარგებელს 4 ნახევარს. აქციის შესაძენათ იგივეს შეტანა და ხელის მოწერა მიიღება მოსკოვის სახალხო ბანკში (Москва. Мясницкая 15), და მის განყოფილებაში—დონის-რასტრუში (Ростовъ на Дону, б. Садовая, 102) და ნოვო ნიკოლაევსკში (Ново-Николаевскъ, Асинкритовская ул. 61).

ჟურნალ „მოსავალი“-ს რედაქციაში იყიდება:

„მოსავალი“-ს ნომრები 1909, 1910, 1911, 1912 და 1913 წლებისა.

მთელი კომპლექტი, თითო წლისა ღირს ერთი მანეთი.

დაიბეჭდა და იყიდება ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების კანცელარიაში (ტფილისი, ბარიატინსკაია, 5) და ქ. შ. წ. კ.

გამავრცელებელ საზოგადოებაში წიგნი კ. პ. კანდელაკისა:

ანგარიშთა და საქმეთა წარმოება წერილ კრედიტთა

საკოოპერაციო დაწესებულებაში

ფასი 1 მან.—ვინც 20 ცალზე მეტს იყიდის, დაეთმობა 25 პროც.

15 ნოემბერი 1916 წ.

16539

დიდხნის სიჩუმის შემდეგ ჟურნალი „მოსავალი“ კვლავ გამოდის. ქართული სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭომ საჭიროთ დაინახა თავის ორგანოს ფურცლებზე ფართო ალგვი დაუთმოს კოოპერატიული შინაარსის წერილებს.

სოფლის მეურნეობა და კოოპერაცია იმდენათ მჭიდროთ არის დაკავშირებული, რომ შეუძლებელია წარმოვიდგინოთ სოფლის მეურნეობის გაუმჯობესება კოოპერაციის განუფიქრებლათ. განა შეუძლია მეურნეს რაიმე გაუმჯობესობა შეიტანოს თავის საქმეში, თუ არ ექნა მას ხელმისაწვდენი, იაფი კრედიტი? როდესაც თავის შრომის ნაყოფს დაინახავს, რომ ნაწარმოები მუქთად ჩაჩხს, ან ბაყალს არ ჩაუყაროს, მის საზრუნავ საგანს შეადგენს ხელსაყრელ ფასებში თავის ნაწარმოების გაწოდება, აქედან გამომდინარეობს მწარმოებელთათვის ნაწარმოების კარგს პირობებში გასანაღდეblად ამხანაგობების დაარსება. ყოველი დღის საოჯახო მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლათ აუცილებლად საჭიროა მომხმარებელ საზოგადოებათა დაარსება. რომელი ერთი მოვთვალათ? არ არის დარგი მეურნეობაში, სადაც კოოპერაციას არ შეუძლოს თავის ცხოველმყოფელი ძალის შეტანა. რაც შეუძლებელია თითო პირისათვის, შესაძლებელია ამხანაგობისათვის.

ჩვენმა ხალხმა კარგათ შეიგნო კოოპერაციის დიადი მნიშვნელობა და მხურვალედ შეუდგა კოოპერატიული დაწესებულებათა გავრცელებას. მოკლე ხნის განმავლობაში ჩვენს სამშობლოს მოეფინა ქსელი კოოპერატიული ამხანაგობებისა, განსაკუთრებით განვითარდა საკრედიტო და მომხმარებელი კოოპერატივები.

კოოპერატივებში წევრები ათასობით და ათიათასობით ითვლება, მაგრამ ბევრს მათგანს არც კი აქვს წარმოდგენა—რა არის ამხანაგობა და რა მიზანს ემსახურება. კოოპერატიული შეგნების ფართო მასაში შეტანა და კოოპერატიული პრინციპების დაცვა შეადგენს პირველს ჩვენს მთავარს მიზანს.

ყოველდღიური ჩენი გაზეთები კოოპერაციას დიდის თანაგრძნობით ეკიდებიან, კოოპერატიული შინაარსის წერილებს ფართო ალავს უთმობენ, მაგრამ ცხადია, საერთო პოლიტიკური გაზეთი კოოპერატიული ჟურნალის მაგიერობას ვერ გასწევს. იმას რომ თავი დავანებოთ, რომ კოოპერაცია არსებითად პარტიის გარეშე არის, კოოპერაციას აქვს თავის სპეციალი საგნები, რომლებიც განსაკუთრებით განმარტებას და გაშუქებას თხოულობს. ჩენი ორგანო შეძლებისდა გვარად ეცდება შეეხოს ყოველ მოვლენას კოოპერატიული მოძრაობისას, იქნება ის დადებითი თუ უარყოფითი მხარეები. გართულებულმა კოოპერატიულმა ცხოვრებამ წამოაყენა ბევრი სადაო კითხვები, რის გამორკვევაში უნდა

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. საბ. რ. კ.

მიიღოს მონაწილეობა ყველა კოოპერატორებმა, რომ შესაძლებელი იქნეს გავიგოთ კოოპერატორთა ნება და ამის მიხედვით ვიხელმძღვანელოთ პრაქტიკული მოქმედების დროს.

ამიტომ ჟურნალ „მოსავალი“-ს ფურცლებზე თავისუფლად დაეთმობა ალაგი ყველა კოოპერატიული შინაარსის წერილებს იმ მოსაზრებით, რომ როგორც ამბობენ ფრანგები *du choc des opinions fallit la verité* ე. ი. აზრთა შეხლა-შემოხლის დროს უფრო გამოირკვევა ჭეშმარიტება. ამასთანავე გულახდილათ ვაღვიარებთ, რომ საპასუხისმგებლო საქმეს ვიწყებთ, დიდი შრომა არის საჭირო, მაგრამ მოსალოდნელი დაბრკოლებანი არ გვაშინებს, რადგანაც ვემსახურებით ხალხის საზოგადოებრივ, ეკონომიურ და გონებრივ აღორძინებას და ამ მაღალ იდელების სამსახურში დარწმუნებული ვართ, რომ მხარს დაგვიჭერენ და დაგვეხმარებიან ჩვენი იდეური ამხანაგები, რომელთაც ჟურნალ „მოსავალი“-ს სარედაქციო კოლეგია უგზავნის მხურვალე კოოპერატიულ სალომს.

ერთი თვალის გადავლებით.

ჩვენი დღევანდელი კოოპერატიული ცხოვრება წარმოადგენს მძლავრ მოძრაობას, რომელსაც მიუღია მასიური ხასიათი, ძლიერ ტალღათ შეჭრილა თანამედროვე ურთიერთობაში და ცდილობს გადიქცეს მთელი ცხოვრების გავლენიან ფაქტორათ.

განსაკუთრებით ეს ითქმის მომხმარებელ კოოპერატივებზე. მომხმარებელი საზოგადოება შეიქნა დღიურ ლოზუნგათ, რომელმაც შემოიკრიბა თავის გარეშემო ხალხის ფართო მასა და მისცა მას შეძლება გამოეხატა მასში თავისი საზოგადოებრივი სულისკვეთება და იმედი ნიუთიერ ყოფა-მდგომარეობის გაუმჯობესებისა. როგორც ყოველ ხალხურ მოძრაობას სჩვევია, ამ მოძრაობამაც ერთბაშათ იჩინა თავი, გადიდდა, გაძლიერდა და ყველასათვის თვალსაჩინო ფაქტათ იქცა. თავისი სიმძლავრით ის სტიქიურ მოვლენას გავს, ხოლო მიზან-შეწონილი მოქმედებით და წინასწარ განჭვრეტილი შედეგებით მოგვაგონებს დიდი ხნით შემზადებულ და შეგნებულად მოწყობილ საქმიანობას. ძნელი გამოსარჩევია—რა სჭარბობს აქ: სტიქიური ელემენტი თუ შეგნება. ერთი რამ კი აშკარაა. მომხმარებელი კოოპერატივით ხალხი დაუპირდაპირდა ვაჭართა კლასს და მას ომი გამოუცხადა. მსოფლიო ომის დროს ფრთავშლილ ვაჭართა უზომო სპეკულიაციას ხალხმა პროტესტით უპასუხა და ამავე დროს დაირაზმა კიდევ კოოპერატივში იმ მიზნით, რომ აწარმოვოს სასტიკი ბრძოლა. ეს საზოგადოებრივი ხასიათი და მნიშვნელო-

ბა, რომელიც თავიდანვე გადაეწნა მომხმარებელ კოოპერაცივს, უტყუარი თავდებია მისი შეუფერხებელი ზრდა-განვითარებისა. მოსალოდნელი დივიდენდები, რომლებზედაც ხელმძღვანელთაც არა აქვთ ხეირიანი წარმოდგენა, ვერ გამოიწვევენ იმ უეჭველ აღფრთოვანებას, რომელიც თან ახლავს ჩვენს ნორჩ კოოპერატიულ მოძრაობას. ინტერესთა ძირითადი წინააღმდეგობით გამოწვეული საზოგადოებრივი ურთიერთობა საფუძვლად დაედო კოოპერაცივის შენობას და მისცა მას მთელი სასიცოცხლო შინაარსი. კოოპერატივი არ ვრის მხოლოდ ვაჭრისგან თავის დასახწევი საშუალება, სადაც ხალხმა ყოველდღიურათ რამდენიმე გროში უნდა გადაარჩინოს, რომელიც უამისოდ ვაჭრის ჯიბეს შეეძინებოდა. კოოპერატივით ხალხი თითონ ეჭრება ვაჭარს მის ასპარეზზე, თვით ახდენს მასზე თავდასხმას, ცდილობს ის სრულიად განდევნოს აქედან და მთელი ვაჭრობის სარბიელი სავსებით დაინარჩუნოს.

ამას ზედ ერთვის კიდევ მეორე გარემოება. ომის ქარტახილმა ძირიანათ შეანძრია ხალხის ცხოვრება და გამოიწვია ძლიერი მოთხოვნილება შეკავშირებისა და შეთანხმებული მოქმედებისა. საზოგადოებრივობას მოწყურებულმა ხალხმა იქით მიიტანა იერიში, საითაც უფრო ადვილათ მიუწვდებოდა ხელი: კოოპერაცივს მან დაუკავშირა ყველა თავისი საჭირბოროტო კითხვა და მოთხოვნილება.

აღსანიშნავია ის როლი, რომელიც ითამაშა ჩვენმა პროვინციამ კოოპერატიულ მოძრაობაში. ის, მიჩვეული ქალაქიდან დირექტევეების მიღებას, ქალაქის ნიმუშებით ხელმძღვანელობას, ამ შემთხვევაში საკუთარი ძალღონით გაუძღვა საქმეს. მან კიდევ დაასწრო ქალაქს და შექმნა მთელი რიგი სამაგალითოდ დაყენებულ მომხმარებელ საზოგადოებათა. ეს აშკარად მოწმობს პროვინციის მოლონიერებას და მოქალაქობრივი ცხოვრებისაკენ მძლავრად გაქანებას. ახლა მას გარედან არ დასჭირებია მუჯღუგუნი, მან თვით წარმოშვა თავისი ინტერესი და შექმნა მისი დასაკმაყოფილებელი საშუალება. მან მოხერხებულად გამოიყენა ადრევე ფეხ-მომავრებული საკრედიტო კოოპერატივი, მისი შემწეობით გაუმართა ნივთიერად მომხმარებელ კოოპერაცივს ხელი და ვისიმე ძიძაობა ფულის საქმეშიაც ზედ-მეტათ გახადა.

კოოპერაცივს ბევრი მტრები ყავს, რომლებიც მასთან ბრძოლაში უღირს საშუალებასაც არ თაკილობენ. მაგრამ სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ კოოპერაცივის ბუნებრივი მოსისხლევ მტერი ჩარჩი-ვაჭარი თვით არის დამარცხებული და მისი რქენა კოოპერაცივს საბოლოოვით ვედარას აენებს. ტყუილი გამოდგა კოოპერატორთა შიში—ვაი თუ ვაჭრებმა ფასებს განგებ დაუკლონ, ახლად ფეხ ადგგმულ კოოპერატივზე ხალხს გული აუტრუონ და ის ადრე და მალე დაასამარონო. ალბათ ვაჭარი ინსტიქტიურათ გრძნობს კოოპერატიული მოძრაობის სიდიადეს

და მასთან ნახსენები გზით ბრძოლა უმიზნოთ მიაჩნია. ის თვით ეგუება კოოპერატივის, რომელიც საერთოდ ფასების რეგულიატორი ხდება. ვაჭარს აღარც ის უპირატესობა აქვს კოოპერატივთან შედარებით, რომელიც საქონლის ნისიათ გაცემაში გამოიხატებოდა და რომლითაც შეუგნებელ წევრებს თავისკენ იკედლებდა. ომმა საესებით შეარყია კრედიტის საქმე და ვაჭრობა ნაღდ, ანგარიშის დაუყოვნებლივ გასწორების ნიადაგზე გადმოიყვანა.

მთავრობის დამოკიდებულება კოოპერატივისადმი ომის წყალობით ისეთია, რომ სხვა დროს მოსალოდნელი არ იყო. ის ხშირად ეხმარება და ხელსაც უწყობს კოოპერატივებს. ზოგიერთი სანოვანის განაწილება მათ აქვთ ხელში ჩაგდებული. ტრანსპორტის დეზორგანიზაცია საერთო უბედურებაა, მაგრამ კოოპერატივი სხვაზე ნაკლებათ არ აღწევს მას თავს.

ერთი სიტყვით, ვაჭართან ბრძოლაში კოოპერატივი თუ უკეთესათ არა, თანასწორი იარაღით მაინც შეიარაღდა და იმ თავითვე წარმატებით აწარმოებს ბრძოლას.

მაგრამ უკანასკნელად მას დაუდგა სრულიად ახალი პრობლემა, რომელიც მის მოსაზრებაში არ შედიოდა და რომელიც მეტათ ართულებს მის საარსებო პირობებს. კოოპერატივი ვაჭრების წინააღმდეგ დირაზმა და ხელოვნურად შექმნილ ფასების სიძვირეს ებრძოდა. ვაჭარს გაუმკლავდა, მაგრამ სამაგიეროთ მწარმოებლის საშაშაშო შეიქნა. ფასების სიძვირის შაგიერ ნივთების ნაკლებობა წამოდგა წინ და შეიქნა ისეთი პირობები, რომ კოოპერატივი იძულებულია ხელი აიღოს სიძვირესთან ბრძოლაზე და იმეცადინოს საჭირო საქონლის შეძენაზე, რა ფასადაც უნდა დაჯდეს ის. ომიანობამ, რომელმაც შეუმზადა კოოპერაციას საუკეთესო ნიადაგი, ბოლოს შექმნა ისეთი პირობები, რომლებიც მას სულ სხვა თავსამტვრევ კითხვებს უყენებს წინ, ვიდრე ეს როდისმე მოსალოდნელი იყო. იაფი და საუკეთესო ღირსების საქონელის მიწოდება არის კოოპერატივის მიზანი. როგორც და რა ფასადაც უნდა იყოს საქონელი, მხოლოდ მოიპოვებოდეს იგი—ასეთი მწვავე კითხვა დგება დღეს კოოპერატივის წინ. ეს კითხვა წარმოშობილია თანამედროვე სასურსათო საკითხიდან, რომელიც სახელმწიფოებრივ უმნიშვნელოვანეს კითხვას წარმოადგენს დღეს და მის გადაწყვეტაში კოოპერატივმაც უნდა მიიღოს შისაფერი მონაწილეობა და შეიტანოს იქ თავისი წვლილი. აქ თავისი სიტყვის თქმა, შესაფერი ღონისძიების გამოძენა უეჭველად მოასწავებს კოოპერატივის პოზიციის გამაგრებას. ეს უკანასკნელი კი ყველა კოოპერატორთა მოქმედების ცენტრში უნდა იდგეს, მთელი მათი გულის ყური აქვთ უნდა იყოს მიპყრობილი.

ომიანობის ხანაში გაიქვდა მომხმარებელ კოოპერატივის ბედი,

დრომ მას ხელი შეუწყო, გარემოება დაეხმარა და სრული უფლება აქვს მომავალსაც იმედინათ შეხედოს. ხალხმა მისცა კოოპერატივის მაქსიმუმი იმისა, რის მოთხოვნაც კი მისგან შეიძლებოდა: აღფრთოვანება, ნდობა, ნივთიერი სახსარი. ხელმძღვანელთ ევალეზათ ისე ემსახურონ საქმეს, როგორისაც ღირსია ეს ხალხის ნააშაგარი და მაშინ ჩვენი კოოპერატივის ბედი სამუდამოთ უზრუნველყოფილი იქნება.

მ. ტ—ძე.

ახალი ამბები.

წვრილი კრედიტის ცენტრალურმა კომიტეტმა საფინანსო მინისტრის ნებართვით შესცვალა მუხლი წვრ. კრ. ნორმალის წესდებისა: ახალი დადგენილებით პირადი ნდობა გადიდებული იქნა 300-დან 500 მანეთამდე. თუ რომელიმე ამხანაგობას სურს ისარგებლოს ამ ცვლილებით, უშამდგომლობით უნდა მიმართოს ადგილობრივ კომიტეტს.

იმავე ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა ნება მიეცეს საკრედიტო და შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობათ ადგილობრივ კომიტეტის ნებართვით გაუხსნან კრედიტი მომხმარებელ საზოგადოებებს, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს მათი საპაიო თანხის ნახევარს. როგორც ვიცით აქამდის ნებადართული იყო კრედიტი მხოლოდ ათას მანეთამდის.

როგორც ვიცით სახელმწ. დუმამ მისში მიიღო კანონი კოოპერატივების შესახებ. ეხლა როგორც გადმოვეცემენ, სახელმწ. საბჭოს იმდენი ცვლილება შეუტანია, რომ თუ ეს ახალი კანონი შევიდა ცხოვრებაში, უფლებრივი მდგომარეობა კოოპერატივების უფრო გაუარესდება.

სახელმწიფო ბანკის ტფილისის კანტორის კომიტეტმა (учетно. ссуд. комит.) დაადგინა გაუდიდეს მოკლე ვადიანი კრედიტი შემდეგ ამხანაგობებს: დიდი გომარეთისას 10,000-დან 20,000 მანეთამდის, ღირბისას 10,000-დან 20,000 მანეთამდის და თიონეთისას 15,000-დან 25,000 მანეთამდის. ამას გარდა კომიტეტმა დაადგინა ეთხოვოს წვრილი კრედიტის მთავარ სამმართველოს მიეცეს თიონეთის ამხანაგობას გძელ ვადიანი სესხი 2,000 მანეთი.

ორშაბათს 28 ამ თვეს დანიშნულია სხდომა ქ. სას. სამ. საზ. არსებული საკოოპერაციო სექციისა მიმდინარე კითხვების განსახილველად.

როგორც ვავიგეთ, გორის მაზრის ზოგიერთ მომხმარებელ კოოპერატივებს განზრახვა აქვთ დაარსონ რაიონული კავშირი.

თფილის კოოპერატორთა შორის აღიძრა სურვილი საკრედიტო ამხანაგობათა საგუბერნიო კავშირის დაარსებისა. განზრახულია ამ მოკლედ დროში მოაწყონ კერძო თათბირი, რომელსაც დაესწრებიან პროვინციის წარმომადგენელნიც.

საანგარიშო დავთრების უქონლობა დიდათ აფერხებს პროვინციის მომხმარებელ კოოპერატივებს. ამიერ-კავკასიის კავშირმა კარგახანია წიგნების დამზადება შეუკვეთა მეფის ნაცვლის სტამბას, რომელიც სხვა-დასხვა მიზეზებით აგვიანებს საქმეს. უკანასკნელ ვადათ დანიშნულია ნოემბრის ბოლო რიცხვები. იმედია, წიგნების დამზადება ამ ვადას მაინც არ გადასცილდება.

მოსკოვის სახალხო ბანკის გამგეობა აცხადებს, რომ 1 მარტს, 1917 წ. გამოვა მესამე გამოცემა სახალხო ბანკის აქციებისა, 8000 ცალი. თითო აქცია ელირება 255 მან.

საერთაშორისო კოოპერატიული კონგრესი.

ამ წლის ოქტომბერში შესდგა საერთაშორისო კოოპერატიული კონგრესი პარიზში, რომელსაც დაესწრენ მოკავშირე ქვეყნების კოოპერატივთა წარმომადგენელნი: ინგლისიდან, ბელგიიდან, იტალიიდან და საფრანგეთიდან. (რუსეთის კოოპერატივების წარმომადგენლები სიშორის გამო ვერ დაესწრენ). კრება გახსნა ცნობილმა კოოპერატორმა პროფესორმა შ. ჟიდმა, რომელმაც აღნიშნა თავის სიტყვაში, რომ უკანასკნელ საერთაშორისო კონგრესს, რომელიც 1912 წ. მოხდა, გერმანენელი და ავსტრიელი კოოპერატორებიც დაესწრენ და დღეს კი უამართოდ ხდება ეს კონგრესიო. შეიძლება ვინმემ უადგილოდ ჩასთვალოს მათი ხსენება დღევანდელ პირობებში—განაგრძო ჟიდმა—მაგრამ როგორ გნებავთ გვერდი აუაროთ ამ ფაქტს, როდესაც ამას მჭევრმეტყველურად ღალადებს ის ცარიელი სკამები, რომლებიც მათ უნდა სჭეროდან აქ. უნდა ვიფიქროთო, სთქვა პროფესორმა, რომ მოწინააღმდეგე ქვეყნების კოოპერატორები არ ინაწილებენ თავის მთავრობის პოლიტიკას და მას ომში არ ეხმარებიანო.

კონგრესი უმთავრესად შეეხო მოკავშირე სახელმწიფოთა ეკონომიურ კონფერენციის დადგენილებებს, რომელსაც ადგილი ქონდა პარიზში. კონგრესმა აღიარა, რომ აუცილებლად საჭიროა უფრო მჭიდრო ეკონომიური კავშირი მაგრამ არა მარტო მოკავშირე სახელმწიფოთა შორის, არამედ ნეიტრალურ ქვეყნებთანაც. ამავე დროს კონგრესმა გადაჭრით დაგმო გერმანიის საქონლის ბოიკოტი. ასეთი ბოიკოტი

სრულიად არ შეეფერება მიზანს და საერთოდ მეურნეობისთვისაც მავნებელი იქნებაო.

კონგრესი შეეხო დამოუხების საკითხსაც. სამწუხაროთ, კონგრესის ვრცელი ანგარიშები არ მოგვებოვება და ჯერჯერობით უნდა დავჯერდეთ ამ მოკლე გაზეთურ ცნობებს.



ვოლოგდის კოოპერატიული კავშირის კრება.

წარსული თვის პირველ რიცხვებში შესდგა ვოლოგდის კოოპერატიული კავშირის საზოგადო კრება. გასარჩევი იყო კითხვა მტკიცე ფასების შესახებ—ეს მეტათ სერიოზული საკითხი თანამედროვე ომისგან გამოწვეული ურთიერთობისა. კრება მით უფრო საინტერესო იყო, რომ მისი მონაწილენი, როგორც მწარმოებელნი, ნივთიერად დაინტერესებული იყვნენ ფასების სპეკულიატიურ ზრდაში. კოოპერაცია კი უარყოფა უოველგვარი სპეკულიაციისა. და აი აქ ერთი მეორეს დაუპირდაპირდა პრინციპი და ნივთიერი ინტერესი. მოსალოდნელი იყო, რომ თანამედროვე სპეკულიაცია, გამდიდრების და „საშოვარის“ ძიება კოოპერატორთაც ჩაითრევდა თავის მორევში, მით უმეტეს, რომ უკვე გაისმის აქა-იქ ჩივილი და საყვედურები კოოპერატორების წინააღმდეგ, რომელთაც ვერ შეიმაგრეს თავი და ამ არა ნორმალურ მოვლენის აქტიური მონაწილე გახდნენ.

სიამოვნებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ კრებამ სულ წინააღმდეგი სურათი წარმოადგინა მის მონაწილეთა სულისკვეთებისა. აქაური კოოპერატორები მომეტებულად ერბოს წარმოებას მისდევნენ. გამგეობის მოხსენებიდან გამოირკვა, რომ დღევანდელი ფასები ერბოზე მეტათ აწეულია, ის უდრის 80 მანეთს ფუთზე და მოსალოდნელია, რომ კიდევ უფრო აიწიოს. მისი ფასი კი, თუ შრომის ხარჯს ავანახლაურებთ, 45 მანეთს არ უნდა აღემატებოდეს. გამგეობამ წინადადება მისცა დაედასტურებია მტკიცე ფასები ამ ნორმაზე და უარი ეთქვა ზედმეტ გამორჩენაზე.

ილაპარაკა ათმა ორატორმა, რომლიდან მხოლოდ ერთმა გაილაშქრა მტკიცე ფასების წინააღმდეგ. საბოლოოდ ერთხმად იქნა მიღებული რეზოლიუცია მტკიცე ფასების დაწესების შესახებ. ამავე დროს კრებამ მოითხოვა მტკიცე ფასების ყველა საგნებზე დაწესება და არა მარტო სოფლის მეურნეობის ნაწარმოებზე. გარდა ამისა გამოითქვა სურვილი, რომ მტკიცე ფასების ცხოვრებაში გატარება მიენდოს სახესებით საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.



თფილისის მოგვ. საზოგადოება „ალორძინება“.

ნოემბრის 6 და 13 შესდგა მომხ. საზოგადოება „ალორძინება“-ს წევრთა არა ჩვეულებრივი კრება. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ნიკო ელიავა. გამგეობის თავმჯდომარემ დ. კახელაძემ წაიკითხა საზოგადოების ანგარიში, რომელიც შედგენილია 1 იენისამდე. სარევიზიო კომისიამ დაადასტურა ეს ანგარიში და ცოტაოდენი ცვლილებით ითხოვა მისი დამტკიცება.

ანგარიშიდან ირკვევა, რომ კასაში შემოსულა სულ 215,742 მან. 52 კაპ., დახარჯულა 208,329 მან. 98 კ., 1-ლ იენისს კასაში იყო 7,412 მან. 54 კ. ნაყიდი საქონლის ჯამი უდრის 208,806 მან. 25 კ. გაყიდული და განყოფილებებში გასული საქონელი 185,479 მან. 73 კ. 1-ლ იენისს მაღაზიაში დარჩა 19,326 მან. 52 კ. საქონელი.

წევრთა რიცხვი ძალიან სწრაფად იზრდება, რაიცა აიხსნება ცხოვრების არანორმალური პირობებით, რის გამოც პირველ მოთხოვნილების საგნების შეძენა თითქმის შეუძლებელი ხდება კოოპერატივის გარეთ. როგორც კი ეს პირობები მოისპობა და შესაძლებელი გახდება ყოველ დუქანში ამ საგნების შეძენა, კოოპერატივს უეჭველად ჩამოშორდებიან შეუფერებელი წევრები, რომლებსაც დღეს „შაქრის კოოპერატორებს“ ეძახიან. ამის თავიდან ასაცილებლათ სარევიზიო კომისიამ მოითხოვა, რომ ეხლავე მიექცეს ყურადღება კულტურულ-განმანათლებელ მუშაობას, რათა ამით გავრცელდეს კოოპერატიული ცოდნა წევრთა შორის და მომენტის კოოპერატორები საზოგადოების შეგნებულ მონაწილეთ შეიქმნენ.

ამ მხრით ჯერჯერობით არაფერი გაკეთებულა. სარევიზიო კომისია იძლევა წინადადებას კულტურულ-განმანათლებელი მიზნით გახსნას უმთავრეს მაღაზიასთან რივიანათ მოწყობილი ბიბლიოთეკა-სამკითხველო, სადაც მრავლად უნდა მოიპოვებოდეს კოოპერატიული შინაარსის წიგნები და ჟურნალები; გარდა ამისა უნდა ფართოდ გავრცელდეს უკვე დაბეჭდილი წიგნები რუსულ, ქაზახულ და სომხურ ენებზე და გადმოითარგმნოს უცხო ენებიდან შესაძლებელი გამოცემები. პირველ ხანებში ამ ხარჯების დასაფარავად წმინდა მოგებიდან უნდა გადიდოს 3000 მან.

ამ კითხვამ დიდი ინტერესი გამოიწვია კრებაზე და მრავალმა წევრმა ცხოველი მონაწილეობა მიიღო კამათში. გამოიკრვა, რომ განმარტოებულად მარტო ერთ კოოპერატივს არ ძალუძს ამ კითხვის სათანადო გადაწყვეტა, საჭიროა შეთანხმება თფილისის ყველა კოოპერატივებთან, ამიერ-ვაკასიის კავშირთან და აგრეთვე იმ დაწესებულებებთან, რომელნიც ხალხის განათლებას იახაკენ მიზნათ. საგნის ყოველ მხრივად შესასწავლად ამორჩეულ იქნა კომისია, რომელსაც დაევალი თავი-

სი მოსაზრება წარმოუდგინოს საზოგადო კრებას არა უგვიანეს პირველი იანვრისა.

შემდეგ დამტკიცებულ იქმნა გამგეობის მიერ წარმოდგენილი ხარჯთ-აღრიცხვა. საზოგადოებას დღეიდან ეყოლება გამგე, რომლის თვიური ჯამაგირი უდრის 250 მან. და მისი თანაშემწე. გამგეობის წევრებსაც მიეცემათ ჯამაგირი თვეში 40 მან. თითოს.

დასასრულ კრებამ აირჩია გამგეობა და სარევიზიო კომისია.

დამსწრე.

კორესპონდენცია.

სოფ. კავთისხევი. ამ სოფელში არსებობს მომხმარებელი საზოგადოება „ძმობა“, რომელმაც ვე სამი თვეა, რაც გახსნა სავაჭრო, სადაც იყიდება სოფლის ცხოვრებაში აუცილებლად საჭირო საგნები. წევრები დიდი თანაგრძნობით ეკიდებიან საქმეს და დღეს მათი რიცხვი აღწევს 326-ს, რომელთაც თითქმის ყველას გადახდილი აქვთ სრული საპაიო ფული (10 მ.). მაღაზია მუდამ სავსეა ხალხით; დღიური ვაჭრობა საშუალოდ 100 მანეთზე ნაკლები არ არის. დღევანდელი სიძვირის გამო საკუთარი თანხა არ ყოფნის კოოპერატივს საწარმოვოდ და მას საკრედიტო ამხანაგობიდან აუღია ვალად 4,000 მანეთი. საერთოდ ამ ორ კოოპერატიულ დაწესებულებათა შორის კარგი განწყობილება სუფევს.

სამწუხაროდ, მომხმარებელ კოოპერატივს არავითარი საანგარიშო წიგნები არ მოეპოვება და ამ მხრით დიდ უხერხულობას განიცდის. ამას წინათ აქ ჩამოვიდა ქართულ სამეურნეო საზოგადოების ინსტრუქტორი, რომელმაც დაათვალიერა კოოპერატივი. ანგარიშების მდგომარეობის გამოსარკვევად ის იძულებული გახდა უბრალო ქაღალდები დაეხაზა საანგარიშო წიგნების ფორმაზე და იქ ჩამოეწერა მთელი სამი თვის ოპერაციები. საჭიროა კოოპერატივის ხელმძღვანელებმა განაგრძონ ანგარიშების წარმოება იმ ფორმაზე, როგორც ეს ინსტრუქტორმა უჩვენა და როდესაც საანგარიშო წიგნები მზათ იქნება, უფრო ადვილად შეიძლება ამ წიგნებში მთელი ოპერაციების გადატანა.

ანგარიშიდან შემდეგი გამოირკვა. სამი თვის განმავლობაში საერთო ბრუნვა უდრის 32824 მ. 12 კ. კასის შემოსავალი 16399 მან. 24 კ. ვასავალი 14038 მ. 25 კ. საქონლის შემოსავალი 15177 მან. 39 კ. ვასავალი 9072 მ. 88 კ. ანგარიშის მდგომარეობა ამ წლის 7 ნოემბერს ასეთია:

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სსბ. რესპუბ.
გადასახ.

15539/

აქტივი:

კასა	2360. 99
საქონელი	6104. 51
ამიერ კავკას. მომხ. საზ. კავშირში	
საწევრო გადასახადი	311.—
დაუბრუნებელი ხარჯები	896. 34
ინვენტარი	40. 16
<hr/>	
ბალანსი:	9712. 99

პასივი:

საპაიო	3255.
საწევრო	163.
სხვადასხვა პირების ვალი	4000.
წამატებული ¹⁰ / ₁₀₀ საქონელზე	2294. 99
<hr/>	
ბალანსი:	9712. 99

აქედან აშკარად სჩანს, რომ საზოგადოებას კარგი პირი უჩანს. საქირთა მხოლოდ ანგარიშები წესიერად იყოს დაყენებული. ეს არც ისე ძნელი მისაღწევია: საზოგადოებას თამამად შეუძლია იყოლიოს გამოცდილი მონაგარიზე რიგიანი ჯამაგირით. საქირთა ვრცელი ხარჯთაღრიცხვის შედგენა და მის დასამტკიცებლად და აგრეთვე სხვა კითხვების გასარკვევად საზოგადო კრების მოწვევა.

სტუმარი.

ლილოს მერძვეთა ამხანაგობა. ეს ამხანაგობა მეოთხე წელიწადია არსებობს. რამდენათაც პირველ წლებში საქმე კარგად მიდიოდა, იმდენად ამ უკანასკნელ დროს თანდათან ჩამოქვეითდა და დღეს საესებით შეფერხდა: ამ ქამად ამხანაგობა თითქმის დაუქმებულია. წევრებს რძე სრულიად აღარ მოაქვთ და ამის გამო თფილისში რძის დამტარებელიც დათხოვნილია. დარჩა მხოლოდ ერთი მოსამსახურე—ბიჭი, რომლის მოვალეობას შეადგენს უქმად მყოფი ცხენების მოვლა. ამნაირად შემოსავლის წყარო სრულიად შეწყდა, გასავალი კი ყოველდღიურად საკმაოდ დიდია. მოსამსახურე იღებს 15 მანეთს დღიურად, მაგრამ ეს შედარებით არაფერია ცხენების საკვებ ხარჯთან: ქერი და თივა საშინლად გაძვირებულია. გამგეობა ისევე გულგრილად უცქერის საქმეს, როგორც ყველა სხვა წევრები. მისი მოქმედება სრულიად არაფერში სჩანს. მოსამსახურე რომ წავიდეს და ცხენები შიმშილით ამოწყდენ, ყურს არავინ გაიბერტყავს. საქმის ასეთი მოპყრობა მით უფრო გასაშტერებელია, რომ გლახებმა საკმაოდ დაინახეს, თუ რა სარგებლობა მოაქვს ამხანაგობას. ყოველ ოჯახს მან ფულის წყარო გაუჩინა; თითოეული ოჯახის შემოსავალი 10—15 მანეთზე ნაკლები არ იყო თვითურად და ზოგიერთ შემთხვევაში 40 მანეთსაც აღემატებოდა. ამას გლახები

კარგად გრძნობენ დღესაც. ამხანაგობის დაკეტვას ისინი არას გზით არ თანხმდებიან, მიუხედავად იმისა, რომ ის ფაქტიურად უკვე გაუქმებულია. ხარჯები კი დღითიდღე იზრდება. ამხანაგობა ღრმად ეფლობა ვალებში და რაც დღეს ძნელი გამოსასწორებელია, შემდეგში სულ გამოუსწორებელი გახდება. საჭიროა, რაც შეიძლება მალე გადაწყდეს საკითხი. ან საქმის დაუყოვნებლივი გამოსწორება, ან დაუყოვნებლივი ლიკვიდაცია. სხვა გზა არ არის.

გამგლედი.

სამტრედია (საქ. განმ. პუნქტის დაარსება). კვირას, 20 ნოემბერს, ადგილობრივ მომხმ. საზ. „დახმარება“-ს გამგეობის ინიციატივით შესდგა სამტრედიის რაიონის მომხმარებელ საზოგადოებათა დამფუძნებელი კრება, რომელზედაც გამოცხადდა ათი წარმომადგენელი: ს. საჭილაოდან ი. ხონელი, ე. ხონიდან ი. ჭავჭავანიძე, სამტრედიადან ა. ქანდაია, იანთიდან ჯვარიშვილი, ჯიხაიშიდან ა. შუბლაძე, კულაშიდან ყვანია, ჭავანიდან კობალიაშვილი, ტობანიერიდან ნაფეტვარიძე, დანიჩაშვილიდან მანჯგალაძე და ქოლოუბნიდან მიქაძე. კრებამ თავმჯდომარეთ აირჩია ი. ჭავჭავანიძე, მდივანთ ი. ხონელიძე. დაესწრო ამიერ კავკასიის კავშირის წარმომადგენელიც, რომლიდანაც კრებამ მოისმინა მოხსენება კავშირის მდგომარეობაზე. კრებამ გამოიტანა შემდეგი დადგენილებები: 1) თანახმად ამიერ კავკასიის მომხმარებელ საზოგადოებათა კავშირის წესდებისა, გაიხსნას დ. სამტრედიაში საქონლის განმანაწილებელი პუნქტი, 2) არჩეულ იქნას სამი კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელიც სამტრედიის მომხმარებელ საზოგადოების „დახმარება“-ს გამგეობასთან ერთად მოაწყობს საქ. განმ. პუნქტს, და თუ გამგეობა უარს განაცხადებს, მაშინ თითონ კომისიამ მიიღოს თავის თავზე საქმის მოგვარება, 3) შეადგინოს კომისიამ ადგილობრივ კოოპერატივის გამგეობასთან ერთად ხარჯთ-აღრიცხვა და წარმოუდგინოს 4 დეკემბერს, ამისათვის საგანგებოთ მოწვეულ კრებას განსახილველად, 4) გაძლიერებულ იქნას კოოპერატიული პროპაგანდა და 5) მიეცეს წინადადება კოოპერატივებს დაეხმაროს კავშირს ნივთიერად ჟურნალის გამოცემაში, ამისთანავე ეთხოვოს კავშირს დააჩქაროს ჟურნალის გამოცემა. საგულისხმოა კავშირის წარმომადგენლის განცხადება: ბევრ კოოპერატივებს კავშირში საპაიო ფული ჯერაც არ შეუტანიათ სრულად, რაც აფერხებს საქმის მსვლელობას. კრებამ ამაზეც დაადგინა: კოოპერატივებმა საწევრო ფულის შეტანა კავშირში დააჩქარონ. დასასრულ მოხდა არჩევნები კომისიის წევრებისა. აირჩიეს ი. ჭავჭავანიძე, ი. ხონელიძე და ა. შუბლაძე. მოხსენებულმა კომისიამ უნდა გამართოს მოლაპარაკება „დახმარება“-ს გამგეობასთან, რათა მან იკისროს დ. სამტრედიაში პუნქტის ხელმძღვანელობა, და თუ არ იკისრა კომისია უდგება საქმეს სათავეში.

იქაური.

კ ი თ ხ ვ ა - შ ა ს უ ს ი .

ამ განყოფილებაში რედაქცია ეცდება პასუხი გასცეს ყოველდღიურ პრაქტიკულ კითხვებს, რომელთაც კოოპერატიული ცხოვრება წამოაყენებს. შემკითხველთ ვთხოვთ, კეთილ ინებონ და კითხვა ნათლად და გარკვევით აღნიშნონ, რათა თავიდან აცილებულ იქნას ზედმეტი მიწერ-მოწერა და პასუხი არ დაგვიანდეს.

მოანგარიშე ა. ჩ—ძეს. თიბათვეში 15 მანეთი 1% შეცდომით ჩამოწერია სესხის სვეტში. ამის გამო ვექსილების ჯამი სწორედ 15 მანეთით აღემატება ანგარიშის ჯამს. რომ შემდეგი თვეების ანგარიშები გაგზავნილი არ მქონდეს ინსპექციაში, ადვილად მოვაგვარებდი საქმეს: წავშლიდი შეცდომით გატარებულს და ბოლოში მივაწერდი, როგორც უნდა გატარებულიყო. ახლა როგორ უნდა გავასწორო შეცდომა?

პასუხი. წაშლა და ამოფხეკა არასოდეს დასაშვებია არ არის. თვიური ანგარიშის შედგენის დროს აუცილებლად უნდა იანგარიშოთ ვექსილებიც და სხვა ქონებაც. ახლა ასე მოიქცეთ: 15 მანეთი ერთ და იმავე დროს გაატარეთ სესხის გასაფალში და მიღებული 1%¹⁰-ის შემოსავალში. კასას ამით არც მოემატება, არც დააკლდება; ვექსილებს მოემატება ის ჯამი, რაც შეცდომით დააკლდა, და 1%¹⁰-ს მიემატება ის, რაც თავის დროზე არ მიმატებია. სტატია ასე შეადგინეთ: ჩამოიწერა შეცდომით გატარებული ამა და ამ სტატიით, გვერდი... იმ სტატიასაც, სადაც ეს შეცდომა მოგივიდათ, პატარა შენიშვნა გაუკეთეთ: იხილეთ გასწორება ამა და ამ გვერდზე, სტატია...

მალაზიის გამგე ლ. დ—შვილს. როგორ უნდა გატარდეს მთავარ წიგნი (კასა მემორიალი) საქონლის შემოსავალი — ნასყიდობის მიხედვით თუ გასაყიდ ფასებში? რა უპირატესობა აქვს ერთს ან მეორეს?

პასუხი. უმჯობესია გასაყიდი ფასებით აღნიშნოს საქონელი მთავარ წიგნი. ამ შემთხვევაში მთავარი წიგნი დანამდვილებით აჩვენებს მალაზიაში დარჩენილ გაუყიდველი საქონლის რაოდენობას. ნასყიდობის მიხედვით ჩაწერას კი შეიძლება ასეთი კუროზი მოყვეს: მთავარი წიგნის ჩვენებით შეიძლება გაყიდული საქონლის რაოდენობა აღემატებოდეს ნაყიდი საქონლისას, — მალაზიიდან მეტი გასულა, ვიდრე მალაზიაში შემოსულა, მაშასადამე საქონელი აღარ უნდა იყოს მალაზიაში, მაშინ, როდესაც ნამდვილათ შესაძლებელია რამდენიმე ათასი მანეთის საქონელი ეწყოს კიდევ გაუყიდავი.

ნოქარს ა. ბ—იას. მთავრობის მოხელემ გვინახულა და სავაჭრო მოწმობა მოგვთხოვა. შეგვატყობინეთ, სად უნდა ვიყიდოთ და რა დაგვიჯდება?

პასუხი. თქვენს კოოპერატივს ჯერ არავითარი მოწმობა არ ეჭირ-
ვება, რადგან თუთუნს არა ყიდით და საწარმოვო თანხასაც ათი ათას
მანეთამდე არ მიუღწევია.

გამგეობის წევრს მ. პ.—ს. ვაჭრების აგიტაციამ გასჭრა და ახალი
წევრების მიღება შეფერხდა. მაინც ჩვენგან იძენენ არა წევრნი ყოველ-
გვარ საქონელს, რომელიც კი მოგვეპოვება. ვფიქრობთ უფრო ძვირად
მივიყიდოთ არა წევრთ, რომ ამით ვაძიულოთ ისინი წევრებათ ჩაწერონ.
ასე რომ მოვიქცეთ, ხომ არა დაუშავდებათ საქმეს?

პასუხი. უეჭველად დაუშავდება. ფასები ერთი უნდა იყოს ყველა-
სათვის, წინააღმდეგ შემთხვევაში ბოროტმოქმედება მკვიდრ ნიადაგს
გაიჩენს კოოპერატივში. წევრების შეძენას სხვა გზით ეცადეთ. ვაჭრე-
ბის აგიტაციას თქვენი აგიტაცია და საქმის უნარი დაუპირდაპირეთ.

ალ. ნ.—ს. მეურმეს ნავთი წამოვალდებინეთ. შუა გზაზე ბოქვა
გადავარდა და გატყდა, ნავთი მთლად დაიღვარა. ვინ უნდა ანაზღაუ-
როს ზარალი? ბოქვა კოოპერატივს ეკუთვნოდა და როგორც ირწმუნე-
ბიან, საკმაოდ მოძველებული იყო.

პასუხი. კანონით მეურმემ უნდა ზღოს. შეიძლება ამ საქმეში სხვა
მომენტებიც არის საყურადღებო. ამას ადგილობრივად უკეთ გამოარ-
კვევთ.

გ. კ.—ს. 80 წევრი ჩაეწერა კოოპერატივში. ფულიც მოვაგრო-
ვეთ 800 მანეთამდე. უმჯობესი იქნება თუ არა, ახლავე გავხსნათ მა-
ლაზია?

პასუხი. დღევანდელ სიძვირის დროს საეჭვოა მაგ თანხით გაარი-
გოთ რამე.

საკრედიტო ამხანაგობის თავმჯდომარეს ე. ჩ.—ს. ძველი გამგეო-
ბიდან მეტად აწეწილი ანგარიშები ჩაიბარეთ. შემოსავალ-გასავლის
წიგნის მიხედვით შევადგინეთ ბალანსი, შემდეგ დავთვალეთ ვექსილები
და ვიანგარიშეთ პირადი ანგარიშების წგნის მიხედვით ამხანაგების ვა-
ლი. გამოვიდა სამი სხვა და სხვა ჯამი. გარდა ამისა კასაში ნაღდი ფუ-
ლი მეტია, ვიდრე ბალანსის მიხედვით უნდა იყოს. ერთი სიტყვით,
ერთი ანგარიშიც არ არის სწორი და შეუძლებელი ხდება დავემყაროთ
რასმე რომ მთელი ანგარიშები გამოვასწოროთ. ამის გამო ვფიქრობთ,
რომ უმჯობესი იქნება თანამდებობიდან გადადგეთ. საუბედუროდ, არა-
ვინ თანხმდება ასეთი ანგარიშები ჩაიბაროს. მათი გამოსწორება კი ჩვენს
ძალდონეს აღემატება. გვირჩიეთ, როგორ მოვიქცეთ?

პასუხი. ეცადეთ გამოასწოროთ ანგარიშები, რომლებიც, შეიძლე-
ბა არც ისე გამოუსწორებელია, როგორც გეჩვენებათ. საჭიროა მხო-
ლოდ რამდენიმე დღის თავგამოდებული, მუყაითი მუშაობა. ჩვენ გირ-
ჩევთ ასე შეუდგეთ საქმეს. დაალაგეთ ვექსილები ამხანაგების ნომრების

მიხედვით (ყოველ ამხანაგს თავისი ნომერი აქვს რომელიც ვექსილზე-
დაც უნდა იყოს აღნიშნული). შემდეგ აიღეთ პირადი ანგარიშების წიგ-
ნი, რომელშიაც ყოველ ამხანაგს უნდა ქონდეს თავისი განსაკუთრებუ-
ლი ფურცელი და ჩააწყეთ შიგ ვექსილები მათი ხელის მომწერის ფურც-
ლებში. როცა ვექსილებს თავთავის ალაგას ჩააწყობთ წიგნში, გადა-
ფურცლეთ თავიდან პირადი ანგარიშების წიგნი და შეადარეთ ჩაწყო-
ბილ ვექსილებს. თუ აღმოჩნდება, რომ რომელიმე ვექსილი არ არის
პირად ანგარიშების წიგნში ჩაწერილი, აღნიშნეთ ეს ცალკე ქაღალდზე
და გამოიკვლიეთ—არის თუ არა ეს ვექსილი გატარებული შემოსავალ-
გასავლის წიგნში. თუ აღმოჩნდება, რომ პირადი ანგარიშის მიხედვით
ვექსილი ჯერ დაუხსნელად ითვლება და ნამდვილად კი ვექსილი აღარ
არის, ეცადეთ იპოვნოთ ხაზინადარის წიგნში, როდის არის გამოსყი-
დული ვექსილი და შემოსავალ-გასავლის წიგნშიაც ნახეთ, არის თუ არა
ეს ოპერაცია გატარებული. ასეთი თანდათანობითი მუშაობით უეჭვე-
ლად რაიმე შედეგს მიაღწევთ და გამოსავალსაც ადვილად იპოვით.
თუ შედეგმა ვერ დაგაკმაყოფილოთ, მიმართეთ წვრილი კრედიტის ინს-
პექტორს, რომელიც ასეთი ნაშრომის შემდეგ უფრო მალე გაარკვევს
ანგარიშის წარმოების დეფექტებს.

მღვდელს ე. კ.—ს. საკრედიტო ამხანაგობის წევრათ არ მიმიღეს
—მღვდელი ხარო, ვალი რომ არ გადიხადო, ძალით ვერ გადაგახდევინ-
ებთო. ეს სულ ორიოდე კაცის ბრალია. ვფიქრობ, გავასაჩივრო სა-
ხელმწიფო ბანკში, მაგრამ ვშიშობ, ამხანაგობა არ დახურონ.

პასუხი. წევრის მიღება საბჭოს საქმეა, რომელიც ხელმძღვანელობს
არა წოდებრივობის პრინციპით, არამედ იმ მოსაზრებით, თუ რამდენად
კეთილსაიმედოა მისადები წევრი. ამა თუ იმ გადაწყვეტილების დასაბუ-
თებას საბჭოსგან ვერაფერ მოითხოვს. ვერც სახელმწიფო ბანკი უბრძა-
ნებს საკრედიტო ამხანაგობას ესა და ეს წევრი მიიღეო, დახურვის ში-
ში ტყუილად გაქვთ, საჩივარი ვერც მაგ მიზანს მიაღწევს.

ა. ქ.—ახ. ერთი საწყალი კაცი ვარ. კოოპერატივის გამგეობაში
ამირჩიეს. რა იმისი თავი მქონდა, შვილები ომში დამეხოცა, მაგრამ
მეზობლები არ მომეშვენ, უშენოთ ვერაფერ ვენდობითო. ბანკიდან ფუ-
ლის სესხება დაგვიკირდა და იქ ვექსილი მოგვთხოვეს. ზოგიერთებმა გა-
მაფრთხილეს—ნუ მოაწერ ვექსილზე ხელს, თვარა კოოპერაციაში რომ
ფული არ იქნეს, ადგილს გაგიყიდინ და იქიდან გაინაღდებს ბანკი ვექ-
სილსო. ახლა ამას გთხოვთ—ნუ ჩაადებთ საფრთხეში ჩემი შვილების
ობლებს და თუ მართლა საშიშია, ნუ დამაკარგვინებთ ორ კვალ მიწას.
ეს კი ვიცი, რომ ვექსილზე ხელის მოწერა სახუმარო არ არის.

პასუხი. ფიქრი ნუ გაქვთ. მხოლოდ ხელი კი მოაწერეთ როგორც
გამგეობის წევრმა. ვექსილს თქვენი კოოპერატივის ბეჭედიც დაჰკარით-
თქვენს ქონებასთან ამ ვექსილის მყიდველს ხელი არა აქვს.

